საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 30 მაისი, 2013 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/03

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუ-ნქტის, 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 17-ე მუხლისა და აკადემიური საბჭს 2013 წლის 27 მაისის №04-01/42 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არაფორ-მალური პროფესიული განათლების აღიარების წესი, თანახმად დანართისა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2013 წლის 30 მაისის № 05-01/03 გადაწყვეტილების
დანართი

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი

მუხლი 1. არაფორმალური პროფესიული განათლება

1.1 არაფორმალურ პროფესიულ განათლებად მიიჩნევა – პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად, არაფორმალურ გარემოში.
1.2. არაფორმალური განათლება და მისი აღიარება ემყარება ნებაყოფლობითობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და მიმართულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისაკენ.
1.3 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული წესის და ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ზოგადი პირობები.

2.1.არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება I-III საფეხურებზე დაიშვება ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2.2. პროფესიული განათლების III საფეხურის არაფორმალური განათლების აღიარების დამატებითი აუცილებელი პირობაა პირის მიერ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დადასტურება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის საფუძველზე.
2.3 რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 3. განცხადება არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე

3.1 ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) უფლებამოსილია პირის მიერ სათანადო განცხადების საფუძველზე მოახდინოს მის მიერ არაფორმალურ გარემოში შეძენილი ცოდნის/პრაქტიკული-უნარ-ჩვევების შეფასება.
3.2 არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- განმცხადებლის სახელსა და გვარს;
- დაბადების თარიღს;
- პირად ნომერს;
- საკონტაქტო ინფორმაციას;
- არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების დეტალურ აღწერას;
- მოთხოვნას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ
- განმცხადებლის პირად ხელმოწერასა და თარიღს;
- მითითებას თანდართული დოკუმენტაციის შესახებ.

3.3 თუკი განმცხადებელი არასრულწლოვანია, მაშინ განცხადებას მის ნაცვლად ადგენს

მისი კანონიერი წარმომადგენელი. განცხადებაში წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა დამატებით მიეთითება ინფორმაცია, კანონიერი წარმომადგენლის შესახებ.

3.4 არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადებას თან უნდა ახლდეს:

● განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (თუკი განმცხადებელი არასრულწლოვანია, მაშინ დამატებით მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი);

● I, II საფეხურის პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე განაცხადის შემოტანისას, პირის მიერ ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი დედანი ან ნოტარიალურად დადასტურებელი ქსეროასლი;

● III საფეხურის პროფესიული განათლების შესატყვისი არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განაცხადის შემოტანისას - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დადასტურებული ქსეროასლი;

● არაფორმალური გარემოში მიღებული განათლების რაიმე სახით დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, მოწმობა და ა.შ.) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

● III საფეხურის პროფესიული განათლების შესატყვისი არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში ერთიანი ეროვნული გამოცდებზე, უნარების ტესტის მინიმალური კომპეტენციების გადალახვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. არაფორმალური განათლების ამღიარებელი კომისია და მის მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები

4.1 ბხსუ დაინტერესებული პირის მიერ წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით მომართვის შემდეგ ქმნის არაფორმალური განათლების ამღიარებელ კომისიას.

4.2 შესაძლებელია საკითხის სირთულიდან გამომდინარე მოწვეულ იქნას კომისიის შემადგენლობაში შესაბამისი დარგის სპეციალისტი, ხმის უფლების გარეშე.

4.3 არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისია იქმნება ბხსუ-ს რექტორის ბრძანებით.

4.4 არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევის საკითხის განხილვა/გადაწყვეტის ვადით.

4.5 არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4.6 არაფორმალური განათლების ამღიარებელი კომისია შედგება შემდეგი წევრებისაგან:

● რექტორი;

● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც ასევე წარმოადგენს არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის მდივანს;

● შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე წარმოადგენს არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის თავმჯდომარეს.

4.7 არაფორმალური განათლების ამღიარებელი კომისია ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

● დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, როგორც ბხსუ-ს შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე მოქმედი კანონმდებლობასთან შესატყვისობის აღმოსაჩენად;

● წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში, ატარებს გამოცდას/შემოქმედებით ტურს დაინტერესებული პირის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული პროფესიული განათლების შესაბამის პროფესიულ სტანადარტთან და ბხსუ-ს მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ცოდნასთან, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ღირებულებებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4.8 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის სხდომაზე, მდივანი ქმნის კრების ოქმს, სადაც დეტალურად აისახება განსახილველი საკითხის შესახებ

ინფორმაცია, გამოთქმული მოსაზრებები და ა.შ. ოქმი დგება კომისიის სხდომის ჩატარების დღესვე და ხელის მოსაწერად წარედგინება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს. ხელმოწერილი ოქმი რეგისტრაციაში გასატარებლად გადაეცემა საქმის წარმოების სამსახურს.

მუხლი 5. არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის თითოეული კომპონენტის შეფასების წესი

5.1. არაფორმალურ გარემოში პირის მიერ მიღებული ცოდნის ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

5.2 თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემით გათვალისწინებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.

●● დადებითი შეფასებებია:

▪ A ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

▪ B ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

▪ C კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

▪ D დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

▪ E საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

●● უარყოფითი შეფასებებია

▪ FX ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%,

▪ F ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 0-40%

● არაფორმალური პროგრამის კომპონენტი აღიარებულად ჩაითვლება შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღწევის შედეგად.

● „FX“ შეფასების მიღების შემთხვევაში არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

● ,,F“ შეფასების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტი არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს არ უღიარდება.

მუხლი 6. არაფორმალური განათლების აღიარების თავისებურებები

6.1. არაფორმალური განათლების შესატყვისი, პროფესიული განათლების III საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობას არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი დამატებით ადასტურებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის საფუძველზე.

6.2 პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური განათლების აღიარება იმ პროფესიის ფარგლებში, რომლის ათვისება არ არის შესაძლებელი მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტით დასადგენი ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე და რომლის ათვისებისათვის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს დამატებით სპეციალური კომპეტენციების ფლობას, შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და დაწესებულების მიერ სპეციალური კომპეტენციების შემოწმების შედეგად ბხსუ-ს შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

6.3 ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში პირის მიერ პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების ფლობა ცალკეულ პროფესიაში დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირის მიერ ზოგად უნარებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შესახებ.

6.4. წინამდებარე წესით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებაში დამატებით მიეთითება ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შესახებ.

მუხლი 7. არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

7.1 არაფორმალური განათლების ამღიარებელი კომისიის მიერ მიღებული და რეგისტრირებული კრების ოქმი გადაეცემა ბხსუ-ს რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.
7.2 ბხსუ-ს რექტორი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს მიღებულ გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე და სათანადო დასაბუთებით ხელახლა დაუბრუნოს არაფორმალური განათლების ამღიარებელ კომისიას საკითხი განსახილველად.
7.3 გადაწყვეტილება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება ბხსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც დანართის სახით მიეთითება:
▪ დაწესებულების სახელწოდება;
▪ განმცხადებლის ვინაობა;
▪ გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
▪ არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში – მიეთითება პროფესიული განათლების კონკერტული საფეხურის ან მისი ნაწილის შესახებ, რომელსაც შეესაბამება განმცხადებლის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნა;
▪ არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მიეთითება შესაბამის დასაბუთება, რაც გახდა უარის თქმის საფუძველი;
▪ არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის თითოეული კომპონენტების შეფასებებს;
▪ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.
▪ გადაწყვეტილების ასლი გადაეცემა განმცხადებელს.
7.4 არაფორმალური განათლების აღიარება/არაღიარების თაობაზე რექტორის გადაწყვეტილება წარედგინება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

მუხლი 8. არაფორმალური განათლების აღიარების ვადები

8.1 არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის განხორციელების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. საიდანაც 10 (ათი) კალენდარული დღე ეთმობა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე ბხსუ-ს შიდა სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, ხოლო 20 (ოცი) დღე დაინტერესებული პირის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების თითოეული კომპონენტის დადგენას, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებას.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებას ბხსუ-ში შეტანის შემდეგ დაუდგინდა ხარვეზი, მაშინ დრო ხარვეზის დადგენიდან, მის აღმოფხვრამდე არ ჩაითვლება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის საერთო ვადაში.

სწორია: